თანხმობა

ქ.თბილისი 25.06.2024წ.

მე, **დავით ლილუაშვილი** (დაბ.: 11.02.1975წ.; პ/ნ: 01026001866) **შპს „ექსინტერი”-ს** (ს/კ: 206335508) დირექტორი, თანახმად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B10061575, 14/06/2010 12:55:41, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, ვაზისუბანი, III მ/რ კვ.I. კორპ.1 ბ.71), ვაძლევ თანხმობას არქიტექტორ **გიორგი მაკარიძეს** (დაბ.: 27.01.1979წ., პ/ნ: 21001001693; რეგ. მისამართზე: თერჯოლა 4 ძმის ქ. N 31), მასზედ რომ შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილება **შპს „ექსინტერი”-ს** (ს/კ: 206335508) ტერიტორიაზე შეთანხმებულ გაპში ნომრით: 4817203, შეთანხმების თარიღი 01/10/2020წ.;

დავით ლილუაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240791062
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.06.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ცირა ლომაია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, კალოუბნის ქუჩა N1, სართული 2, ბინა N4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	598 998196
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	19912950148124

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18 .

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდახუთ ივნისს მე, ნოტარიუს ცირა ლომაიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, კალოუბნის ქუჩა N1, სართული 2, ბინა N4, მომმართა: დავით ლილუაშვილმა (დაბ.: 11.02.1975წ.; პ/ნ: 01026001866, რეგ.მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, III მიკრო/რაიონი, I კვარტალი, კორპუსი 1, ბინა 71). მან მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ <u>თანხმობაზე</u> 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე, ნოტარიუსმა, დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის საფუძველზე. შევამოწმე ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. ხელმომწერ პირს განვუმარტე: სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე.

<u>სულ დამოწმდა ერთი ხელმოწერა, ერთ ეგზემპლარზე.</u>

გადაიხადეს სანოტარო მომსახურების საზღაური 6.00 /ექვსი/ ლარი + 5 /ხუთი/ ლარი რეგისტრაციის საზღაური თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 31-ე (III), 39-ე მუხლებისა, დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა 1.08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) ლარი, სულ: 12.08 (თორმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ცირა ლომაია

N 136
11.06.2024 წ.

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

მისამართი: ქ. თბილისი, ეკატერინე ბაღდავაძის I შესახვევი, N26;
საკადასტრო კოდი: 01.19.21.002.377;
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო;
ფართობი: 1887.00 კვ.მ;
მესაკუთრე (ები) : შპს ‘’ ექსინტერი“ ID:206335508;

2024 წლის 05 ივნისს შპს ‘’ ექსინტერი“-ს ID:206335508 მომართვის საფუძველზე ექსპერტ მზია ჯიქიას მიერ შესწავლილი იქნა, საკადასტრო კოდი: 01.19.21.002.377, მიწის ნაკვეთზე არსებული **16** ძირი ხე-მცენარის ზოგადი ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც მოცემულია ცხრილში. (N 1)

მწვანე ნარგავების სახეობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები

ცხრილი N 1

N	მცენარის სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა
1	კაკლის ხე (Juglas regia)	50,6	9,0	ხმობადი	
2	კაკლის ხე (Juglas regia)	35,4	2,0	ზეხმელი	წაქცეული
3	კაკლის ხე (Juglas regia)	41,4	10,0	ხმობადი	
4	ბალი (Prunus avium)	13,4	4,0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
5	ბროწეული (Punica granatum)	7,0	2,5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
6	ტყემალი (Prunus cerasifera)	3,0	3,0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
7	კომში (Cydonia)	1,9	1,0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
8	ალუბალი (Prunus cerasus)	2,2	2,0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
9	უნაბი (Zizyphus)	10,2	2,5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
10	ჭერამი (Prunus armeniaca)	4,8	2,0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება

შპს "ეკო გარემო"

11	ტყემალი (Prunus cerasifera)	5,7	3,0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
12	ქლიავი (Prunus domestica)	4,8	4	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
13	ტყემალი (Prunus cerasifera)	5,1	3,5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
14	ტყემალი (Prunus cerasifera)	6,4	4,0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
15	ვაშლი (Malus)	5,1	2	ზეხმელი	ხილკენკროვანი
16	მაყვალი (Rubus fruticosus)	1,5	0,5	საღი	ხილკენკროვანი, მრავალღეროიანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება

ტერიტორიაზე არსებული 16 ძირი მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით:

ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე 3 ძირი:

მაღალი ღირებულების ჯგუფის 3 ძირი:

- 3 ძირი კაკალი, ნიგვზის ხე (Juglans regia) N 1, 2, 3;

ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარე 13 ძირი, მათ შორის:

- 1 ძირი ბალი (Prúnus ávium) N 4;
- 1 ძირი ბროწეული (Punica granatum) N 5;
- 4 ძირი ტყემალი (prunus cerasifera) N 6, 11, 13, 14;
- 1 ძირი კომში (Cydonia) N 7;
- 1 ძირი ალუბალი (Prúnus subg. Cérasus) N 8;
- 1 ძირი უნაბი (Zizyphus)N 9;
- 1 ძირი ჭერამი ჩვეულებრივი (Prúnus armeníaca) N 10;
- 1 ძირი ქლიავი (Prunus domestica) N 12;
- 1 ძირი ვაშლი (Malus) N 15;
- 1 ძირი მაყვალი (Rubus fruticosus) N 16;

ტერიტორიაზე აღრიცხული 16 ძირი ხე-მცენარიდან:

ზეხმელია: 2 ძირი ხე-მცენარე:

- 1 ძირი კაკალი, ნიგვზის ხე (Juglans regia) N 2;
- 1 ძირი ვაშლი (Malus) N 15;

ხმობადია: 2 ძირი ხე-მცენარე:

- 2 ძირი კაკალი, ნიგვზის ხე (Juglans regia) N 1, 3;

საღია: 12 ძირი ხე-მცენარე.

შპს "ეკო გარემო"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის N 11-58 დადგენილებით **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“,** (მუხლი 29, პუნქტი-5), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/ გადარგვა არ საჭიროებს წერილობით ნებართვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. ასეთის არსებობის შემთხვევაში, სხვა ჯანსაღ ხილ-კენკროვან მწვანე ნარგავებზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი დიამეტრი აღემატება 12 სმ-ს.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ასევე მის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ ტეერიტორიაზე მწვანე ნარგავების გადარგვა ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

ხე-მცენარის ამოღება და გადარგვა

მცენარეები, რომელთა დიამეტრი არ აღემატება 25 სმ. დიამეტრს შესაძლებელია გადაირგოს როგორც ხელით, ასევე სპეციალური გადამრგველი მანქანით, ვინაიდან ხე-მცენარეები არის მცირე ზომის მათი გახარების ალბათობა საკმაოდ დიდია, ხოლო დიდტანიანი (25 სმ. დიამეტრზე მეტი) ხეების გადარგვა უნდა მოხდეს სპეციალური ტექნიკისა და გადამზიდავი მანქანა-დანადგარების საშუალებით,აქვე გასათვალისწინებელია, რომ ხის დიამეტრისა და სიდიდან გამომდინარე, ბუნებრივი არეალიდან ამოღებამ და სხვა ნიადაგში გადატანამ, შეიძლება გამოიწვიოს მისი ხმობა

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში, ხოლო დიდ ტანიანი ხეების კომს, ასევე უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ყუთი) ფიცრის ან სხვა მასალისაგან (კომი მთლიანად უნდა შეიკრას ყუთით), რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხე-მცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით, რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად.

სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით (დიდ ტანიანი ხეების შემთხვევაში ამწეს გამოყენებით), დარგვის დროს არ უნდა დაიშალოს მიწის კომი, არ დაზიანდეს მცენარის ღერო, ფესვთა სისტემა და ვარჯი.

ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს ფიქსირება რამდენიმე მხრიდან,რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად, ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება.
ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯერჯვებამდე.

წიწვოვანი ხეების გადარგვისას გასათვალისწინებელია ტოტების განლაგება მოხდეს ისე, როგორც იყო გადარგვამდე (ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ტოტები ისევ ჩრდილოეთით უნდა განლაგდეს).

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71 Email: mziajikia@mail.ru, ecogaremo@gmail.com.

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდ იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.

ხის გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ.

თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). მორწყვის საუკეთესო დროა- დილით 11-12 საათამდე და საღამოს- 6 საათის შემდეგ, ასევე უნდა ხდებოდეს მცენარის მიწისზედა ნაწილების დაწვიმება. (ფოთლები, წიწვები) დაწვიმებასთან ერთად შესაძლებელია მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შერევა წყალთან ერთად.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვანი ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზე დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ფოტო თან ერთვის

შ.პ.ს. „ეკო გარემო“-ს დირექტორი
შემსრულებელი/ექსპერტი / მ. ჯიქია /

შპს "ეკო გარემო"

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71 Email: mziajikia@mail.ru, ecogaremo@gmail.com.

ეკატერინე ბაღდავაძის I შესახვევი, N26 საკადასტრო კოდი: 01.19.21.002.377









ეკატერინე ბაღდავაძის I შესახვევი, N26 საკადასტრო კოდი: **01.19.21.002.377**









ეკატერინე ბაღდავაძის I შესახვევი, N26 საკადასტრო კოდი: 01.19.21.002.377









ეკატერინე ბაღდავაძის I შესახვევი, N26 საკადასტრო კოდი: **01.19.21.002.377**









ქ. თბილისი, ეკატერინე ბაღდავაძის I შესახვევი №26 , 1887 კვ.მ
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

გ ე გ მ ა

საშუალებო:

სიტუაციური სქემა



შენიშვნა: საპროექტო ნაგებობი კონტურს შიგნით განთავსებული ამოსალები ხეები
№5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14

პირობითი აღნიშვნები

ს.ძ.	საცხოვრებელი სახლი		სახვნელი		ხის ნარგავი
ა.ს.	არასაცხოვრებელი სახლი		რკ ბეტონის საყრდენი კედელი		საქვაბე ბალანსირებული ა
შ.ა	შენობა-ნაგებობა		ბრეზენტის ბ ა		ბარე განათება
			კონტური		ტარებადობი ზოლი
			ქვის ღობე		ხეები
			ხის ღობე		UTM- საკოორდინატო სისტემა
			ბეტონის კედელი		
			საბურავების ჯებირი		

			საბაზო ნიშანი		წყლის ჭიშკარი
					წყალი
					ელექტროგადამცემი ხაზი
					ტელეფონის ხაზი
					ელ-ბოძი
					ა ასფალტი
					ღობის აღმართველი

შპს „გეოკონტი“		
დირექტორი		ა. გელიაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა		ზ. ქლენტი
აზომვა შეასრულა		ზ. ქლენტი
მასშტაბი 1:500		16.11.2019



საპროექტო შენობის კონტური
შენობის ირგვლივ 3-მეტრიანი არეალი
ეზოს გამწვანება
შენობის ირგვლივ 3-მეტრიანი არეალი
011921002377
490250
4614350
1.ძ.ა.
300
N1
N2
N3
N4
N5
N6
N7
N8
N9
N10
N11
N12
N13
N14
N15
N16